



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

15 ივნისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №188/17

-- -- 2017 წლის 27 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 30 აპრილს მომზადებული №188/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2017 წლის 05 ოქტომბრის სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა სხდომის დაწყებამდე სატელეფონო შეტყობინებით აცნობა სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე. აღნიშნული საკითხის განხილვის დროს მოსამართლე -- -- დაარღვია ეთიკის ნორმები, კერძოდ: მოსამართლემ საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ მხარე ვალდებული არ იყო წინასწარ ეცნობებინა სასამართლოში გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე. აღნიშნულზე მხარის პოზიციის მოსმენის შემდეგ მოსამართლე ხმამაღალი ტონით ესაუბრებოდა მოსარჩელეს. იჩენდა აშკარა მიკერძოებას. მოპასუხე მხარის ორჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისა და მტკიცებულებათა

წარუდგენლობის მიუხედავად აღნიშნულზე კანონით მინიჭებული უფლებამოსილება არ გამოუყენებია, რაც ასევე მოსამართლის მიკერძოებაზე მიუთითებს.

მოსამართლემ არ იმსჯელა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ მხარის შუამდგომლობაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 02 ივნისს -- რაიონული სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე -- -- -- მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 05 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

2017 წლის 29 ივნისს -- რაიონული სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- და მოითხოვა მტკიცებულებების საქმეზე დართვა.

2017 წლის 18 ივლისს -- რაიონული სასამართლოს განცხადებით მიმართა -- --. განცხადებით მხარემ მოითხოვა საქმის განხილვის დროულად დაწყება. ამასთან, მიუთითა, რომ სასამართლოს არ უმსჯელია -- -- -- მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

2017 წლის 11 აგვისტოს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 23 აგვისტოს -- რაიონული სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- და მოითხოვა მტკიცებულებების საქმეზე დართვა.

2017 წლის 21 ნოემბრის -- რაიონულ სასამართლოს საოქმო განჩინებით (მოსამართლე-- --) №-- ადმინისტრაციულ საქმეზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს, -- -- -- დაევალა მომდევნო სასამართლო სხდომაზე წერილობითი მტკიცებულებების სახით განჩინების მიღების დროისათვის -- რაიონის სოფელ -- არსებული სასმელი წყლის ვარგისიანობის და სისუფთავის შესახებ დოკუმენტების დედნების ან/და დამოწმებული ასლების სახით სასამართლოში წარდგენა.

2018 წლის 30 იანვრის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა -- -- -- -- 2017 წლის 16 მაისის №-- წერილის ძალადაკარგულად გამოცხადება და მოპასუხე - -- -- -- -- (უფლებამონაცვლე - -- -- --) მიერ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნულ სხდომაზე -- -- -- წარმომადგენელმა იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ -- -- მიერ გასაჩივრებული -- -- -- 2017 წლის 16 მაისს --- მუნიციპალიტეტის სოფ. --სასმელი წყლის რეაბილიტაციის შესახებ №-- წერილი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტს, წერილში მითითებულ საკითხებზე არ გამოცემულა და ასევე, არ გამოიცემა

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

-- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელზე -- -- -- მიმართ შეწყდა №-- ადმინისტრაციულ საქმის წარმოება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს

უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის მდივანი მოახსენებს სასამართლოს, განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა, ჩაჰბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს უწყებები ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. სასამართლო ადგენს გამოცხადებულთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას. სასამართლო უფლებამოსილია, გააფრთხილოს პროცესის მონაწილეები და სხდომაზე დამსწრე პირები წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების შესრულების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების თაობაზე. ამის შემდეგ მოწმეები ტოვებენ სხდომის დარბაზს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები.

დადგენილია, რომ -- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 05 ოქტომბრის სხდომა დაიწყო 16:08 საათზე. მოსამართლე -- -- გახსნა სხდომა, სხდომის მდივანმა მოახსენა სასამართლოს ინფორმაცია სხდომაზე მხარეთა გამოცხადების თაობაზე და განმარტა, რომ მოპასუხე მხარე სხდომის დაწყებამდე დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა, რომ სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა ვინაიდან იმყოფებოდა ტრეინინგზე.

სასამართლომ იმსჯელა მხარის გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე და მიუხედავად მხარის მოთხოვნისა, რომ მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიზანშეწონილად მიიჩნია საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის, რათა მოპასუხეს მისცემოდა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა პოზიცია საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო 26¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დაუსწრებელი გადაწყვეტილების თავის დებულებები. შესაბამისად, მოსამართლე ვერ მიიღებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილებას. ამდენად, ამ მიმართებით მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაკატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2017 წლის 18 ივლისსა და 19 ოქტომბერს -- რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა -- მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მტკიცებულებათა გამოთხოვა.

2017 წლის 19 ოქტომბერს -- რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოსარჩელე - - -- და მოითხოვა სარჩელში მითითებული მტკიცებულებების -- -- გამოთხოვა.

2017 წლის 21 ნოემბრის -- რაიონულ სასამართლოს საოქმო განჩინებით (მოსამართლე-- --) №--

ადმინისტრაციულ საქმეზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს, -- -- -- დაევალა მომდევნო სასამართლო სხდომაზე წერილობითი მტკიცებულებების სახით განჩინების მიღების დროისათვის -- რაიონის სოფელ -- არსებული სასმელი წყლის ვარგისიანობის და სისუფთავის შესახებ დოკუმენტების დედნების ან/და დამოწმებული ასლების სახით სასამართლოში წარდგენა.

2017 წლის 26 დეკემბერს -- -- -- წარმომადგენლის -- - მიერ -- რაიონულ სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის განჩინების შესაბამისად წარდგენილ იქნა -- -- სოფლების -- და -- სასმელი წყლის მაგისტრალური და შიდა ქსელების რეაბილიტაციის პროექტის ქაღალდის ვერსია.

მოსარჩელე -- -- აღნიშნული მასალები გაეგზავნა 2017 წლის 27 დეკემბერს და ჩაბარდა 28 დეკემბერს.

ამდენად, საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ არ განიხილა მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან 21 ნოემბრის განჩინებით მოპასუხეს დაევალა მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში. მნიშვნელოვანია, რომ რაიმე ვადა მტკიცებულებათა სასამართლოში წარსადგენად ადმინისტრაციული ორგანოსათვის განსაზღვრული არ ყოფილა. მოპასუხის მხრიდან სასამართლოს დავალების შეუსრულებლობას ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება, მოსამართლის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევასა და მიკერძოებას, აღნიშნული საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს ეთიკის წესების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002

წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

დადგენილია, რომ --- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 05 ოქტომბრის სხდომის აუდიო ჩანაწერების დეტალურად მოსმენის შედეგად არ დადასტურდა მოსამართლე -- -- მხრიდან მოსარჩელე -- -- მიმართ არაეთიკური, მიმართვის ფაქტი. ამდენად, მოსამართლის ქმედება არ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაძლო გადაცდომის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №188/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**